ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N2

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 10.02.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი;**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ბიჭიკო პაიკიძე, დავით ხარძეიშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ვარდოსანიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, რობიზონ ფუტკარაძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - **ვანდა გიორგაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-**ზვიად კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხს: გელა ჩიკვაიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ;

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის „ბოგდან **A-09201**" სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ „საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი"-ზე (ს/კ 229660168) პირდაპირი განკარვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყოდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ზვიადი კაპანაძე

6. სხვადასხვა.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა განმარტა, რომ „წერილობით მოგვმართა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა სოზარ სუბარმა, რათა მიგველო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი, შესაბამისად წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს, რომელიც განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსახორციელებულ ღონისძიებებს.

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (შემდგომში - სტრუქტურული ერთეული) საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 290^4-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომში - პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

თუ პირს საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ვერ ჩაბარდა, საჯარიმო ქვითარი ბრუნდება ფოსტაში და დაბრუნებიდან არაუადრეს 30 დღისა და არაუგვიანეს მე-60 დღისა აღნიშნულ პირს განმეორებით ეგზავნება, იმავე მისამართზე.

საჯარიმო ქვითარი, პირისთვის ფოსტის მეშვეობით განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, უბრუნდება სტრუქტურულ ერთეულს მისი საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით.

პირისთვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ფოსტის მიერ მისთვის დაბრუნებულ საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.vani.gov.ge

საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდოფირის ან/და ფოტოფირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

საჯარიმო ქვითარი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი ამ წესით დადგენილი წესით, საჯაროდ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

საკრებულოს წევრი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

(დადგენილება: N2)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ ,

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოგეხსენებათ „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსი განვიხილეთ შესაბამის

კომისიაზე, წარმოვადგინეთ საკრებულოს სხდომაზე და საკრებულოს გადაწყვეტილებით გამოვაქვეყნეთ ვებგვერდზე მისი გაცნობის, შესაბამისი წინადადებების და შენიშვნების გათვალისწინების მიზნით, თუმცა ასეთი სახის შენიშვნები არ დაფიქსირებულა და წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად. აღნიშნული ეთიკის კოდექსი 4 თავისგან და 30 მუხლისგან შედგება, იგი ვრცელდება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს საჯარო მოხელეებზე და მისი დადგენის მიზანია საჯარო დაწესებულებაში ეთიკური გარემოს შექმნა და საჯარო მოსამსახურის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება, რაც უზრუნველყოფს მიუკერძოებელი, ობიექტური და კოლეგიალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას, ასევე საჯარო სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

საკრებულოს წევრი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“;

(განკარგულება:N27 3)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის N2685 განკარგულებით ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 208 187 ლარი.

- ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების

რეაბილიტაცია, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 749327 ლარს;

- ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების

რეაბილიტაცია-441279 ლარს;

- ქ. ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია 321536 ლარი.

სულ ამ პროექტების ღირებულება 1 512 142 ლარი. 2021 წლის 4 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები:

ზეინდრის ადმინისტარციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში 2021 წლის 26 იანვარს გამოვლინდა დაბალფასიანი პრეტედენტი შპს „Georgian Build" და დააფიქსირა 740 000 ლარი. 2021 წლის 5 თებერვალს გამოვლინდა გამარჯვებულად და 12 თებერვალს მოწვეული იქნება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს "Georgian build" - თან შემდეგი მიზნით: ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, რომლის ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 739999,92 ლარს;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

საკრებულოს წევრი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(განკარგულება: N 27 1)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო

შესყიდვების განყოფილების უფროსმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქ. ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის შესყიდვების ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღება დამთავრდა 2021 წლის 26 იანვარს, გამოვლინდა დაბალფასიანი პრეტენდენტი შპს "Georgian build", რომლის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 751000ლარი.

აღნიშნული კომპანია გამოვლინდა გამარჯვებულად და 12 თებერვალს მოწვეული იქნება ხელშეკრულების გასაფორმებლად. აქედან გამომდინარე განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს "Georgian build" - თან შემდეგი მიზნით:

1) ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით, რომლის ღირებულება შეადგენს-431353.91 ლარს;
2) ქ. ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია-319646.04 ლარს, ხელშეკრულების ღირებულება 750999,95 ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

საკრებულოს წევრი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

(განკარგულება: N 27 2)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის

„ბოგდან **A-09201"** სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ „საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი"-ზე (ს/კ 229660168) პირდაპირი განკარვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყოდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ვანის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობამუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის ,,ბოგდან A-09201" სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ ,,საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი"- სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

საკრებულოს წევრი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის „ბოგდან **A-09201"** სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ „საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი"-ზე (ს/კ 229660168) პირდაპირი განკარვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყოდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

(განკარგულება: N 27 4)

„სხვადასხვა"-ში საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების

საკრებულოს სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	საკრებულოს წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		10 თებერვალი 2021 წელი
2	გიორგი ივანიაძე		
3	გელა ჩიკვაიძე		
4	ტარიელ ბარამიძე		
5.	რამაზ არველაძე		
6.	გიგა გოგიბერიძე		
7.	კობა ტოხვაძე		
8.	გელა ვარდოსანიძე		
9.	კობა ძაგნიძე		
10.	ეთერი ჭიჭინაძე		
11.	ვლადიმერ ჭვალაძე		
12.	დავით ხარძეიშვილი		
13.	თამთა დვალიშვილი		
14.	თამარ შენგელია		
15.	ბიჭიკო პაიკიძე		
16.	ალექსანდრე ოქროპილაშვილი		

17.	ოლეგი მიქელთაძე		10 თებერვალი 2021 წელი
18.	გია ხარაბაძე		
19.	ივანე კორძაძე		
20.	მალხაზ ცერცვაძე		
21.	შალვა ლორთქიფანიძე		
22.	რობიზონ ფუტკარაძე		
23.	ამირან ტალახაძე		
24.	პაატა ხურციძე		
25.	ვარლამ გიორგაძე		
26.	თენგიზ დვალიშვილი		
27.	გელა ღვიტიძე		
28.	სანდრო ხურციძე		
29.	შოთა გიორგაძე		
30.	მერაბ ხურციძე		
31.	დავით ადეიშვილი		
32.	დავით კაკაბაძე		
33.	გია ოჩხიკიძე		
34.	აპოლონ რამიშვილი		
35.	თორნიკე ერისთავი		